პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

2019 წლის -- მაისი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის №4 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 11/03/2019, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016429) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2.

1. დადგენილება (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისისა) ამოქმედდეს 2019 წლის 1 მაისიდან.

2. დადგენილება ბათუმის ბულვარის ტერიტორიის ნაწილზე (ველობილიკი ახალი ბულვარიდან დელფინარიუმის გასწვრივ არსებულ მონაკვეთამდე) ამოქმედდეს 2019 წლის 1 დეკემბრიდან.“.

მუხლი 2.

დადგენილება ძალშია გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ;

პროექტი ითვალისწინებს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანას, რომლის მიხედვითაც დადგენილება ბათუმის ბულვარის ტერიტორიის ნაწილზე (ველობილიკი ახალი ბულვარიდან დელფინარიუმის გასწვრივ არსებულ მონაკვეთამდე) ამოქმედდება 2019 წლის 1 დეკემბრიდან, ნაცვლად მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული 1 მაისისა. პროექტის მომზადება განხორციელდა სსიპ „ბათუმის ბულვარის“ წერილობითი მომართვისა და ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე ელექტრომობილების ბიზნეს-სერვისით დაკავებული სუბიექტების აზრისა და მათი თხოვნის ნაწილობრივ გათვალისწინების საფუძველზე.

ბ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

გ) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება.

დ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“.

ე) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსის მოვალეობის სემსრულებელი - ელენე ჭოლიკიძე

ე. ჭოლიკიძე

ბათუმის ბულვარი 1881

info@boulevard.ge
www.boulevard.ge

N 01-11/334
17/05/2019

334-01-11-2-201905171107

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს

თავმჯდომარეს ქალბატონ ნატალია ზოიძის

ქალბატონო ნატალია,

თქვენი 2019 წლის 17 მაისის №367-12 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ ბათუმის ბულვარი გაეცნო ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს წევრების მიერ მომზადებულ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის №4 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტს და გაცნობებთ, რომ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ბათუმის ბულვარი ეთანხმება თქვენს მოსაზრებას ზემოხსენებული დადგენილება ტერიტორიის ნაწილზე (ველობილიკი ახალი ბულვარიდან დელფინარიუმის გასწვრივ არსებულ მონაკვეთამდე) ამოქმედდეს 2019 წლის 1 დეკემბრიდან, ნაცვლად მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული 1 მაისისა.

პატივისცემით,

ირაკლი ჯინჭარაძე

დირექტორი

სსიპ "ბათუმის ბულვარი"

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ფაქსიმილი № 11/240
"17" მაისი 2019

LEPL "Batumi Boulevard"
2, K. Gamsakhurdia
6000, Batumi, Georgia

სსიპ "ბათუმის ბულვარი"
კ. გამსახურდიას ქ. 2
6000, ბათუმი, საქართველო